ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ჯ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.06.2014

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 043/14

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ე. ბ. /სიითი № ----/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. ბ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2014 წლის 16 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ჯ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ე. ბ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა უძრავი ნივთი, რომელზეც მიბმული იყო დაუკანონებელი მიწის ნაკვეთი. აღნიშნული მიწის ნაკვეთი, ჯ. კ.-ს განმარტებით, მიიღო მემკვიდრეობით ბიძისაგან. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ არ იცოდა გარდაცვლილი პიროვნების შვილის ოჯახის არსებობის შესახებ, ასევე, ერთიან ელექტრონულ სამემკვიდრეო რეესტრში არ იყო განაცხადი შეტანილი აღნიშნული პიროვნების ქონების მიღებაზე. ჯ. კ.-ის წარმომადგენელმა მიმართა ნოტარიუსს და მიიღო სამკვიდრო მოწმობა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ე. ბ.-მ, როგორც გარდაცვლილი პიროვნების შვილის წარმომადგენელმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელის

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების, კერძოდ, აღნიშნულ, მემკვიდრეობით მიღებულ მიწის ნაკვეთზე ყადაღის დადების მოთხოვნით. ჯ. კ.-ის განმარტებით, განცხადებაში ადვოკატი უთითებს, რომ საჩივრის ავტორი არის თაღლითი, სხვისი ქონების მიმთვისებელი, პროფესიონალი თაღლითი, შესაბამისად, იგი არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს. ჯ. კ. უთითებს, რომ აღნიშნულ განცხადებაში ადვოკატმა მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ასევე, დააფიქსირა არასწორი ფაქტობრივი გარემოებები.

1.4 მეოთხე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2014 წლის 15 ოქტომბერს. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განცხადებით, იგი ეთანხმება საჩივარს და მიიჩნევს, რომ ე. ბ., სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ განცხადებაში, შეურაცხყოფას აყენებს საჩივრის ავტორს, რაც მიუღებელია ადვოკატის მხრიდან და მას უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ე. ბ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2014 წლის 07 ივლისს. ადვოკატის განცხადებით, მან მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, როგორც გარდაცვლილი პიროვნების შვილის წარმომადგენელმა და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ადვოკატის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილ განცხადებაში გაკეთებული შეფასება იყო არა მისი, არამედ მისი კლიენტის შეხედულება საჩივრის ავტორის მიმართ.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ჯ. კ.-ის საჩივარი დაწერილია ადვოკატის მიერ და საჩივრის ავტორი მხოლოდ ხელს აწერს მას. ე. ბ. აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მის მიერ წარდგენილი განცხადებით არ დაურღვევია საჩივრის ავტორის უფლებები და არ გამოუხატავს უპატივცემულობა, ვინაიდან არ გააჩნდა აღნიშნულის თაობაზე პირადი ინტერესი.

2.3 მეოთხე დისციპლინური კოლეგიის განხილვის სხდომა გაიმართა 2014 წლის 15 სექტემბერს. ადვოკატი ე. ბ. დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიზეზით სხდომაზე არ გამოცხადდა, თუმცა, ინფორმირების შემდეგ, თანხმობა განაცხადა სხდომის ჩატარებაზე მისი მონაწილეობის გარეშე.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2014 წლის 05 აგვისტოს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ე. ბ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ე. ბ.-მ, თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში მიუთითა არასწორი ფაქტობრივი გარემოებები, მიაყენა საჩივრის ავტორს სიტყვიერი შეურაცხყოფა და შელახა მისი უფლებები, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და არ მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის თავისუფალი პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ

მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, რომელთაც მათი პროფესია აკისრებს. ჯ. კ.-ის უფლებების შელახვა და/ან შეურაცხყოფა შესაძლოა გამოიხატებოდეს საჩივრის ავტორისადმი ადვოკატის წერილობით მიმართვაში, სადაც მას უწოდებს თაღლითს, პროფესიონალ თაღლითს. ამასთან, აღნიშნული სიტყვები მაღალი ალბათობით არ წარმოადგენს პროფესიულ და საქმიან დამოკიდებულებას საკითხისადმი. წერილობით მიმართვაში დაფიქსირებულ სიტყვებს პიროვნების თაღლითად მოხსენიების თვალსაზრისით, შესაძლებელია არ გააჩნდეს საქმიანი დანიშნულება, არ გააჩნდეს პროფესიული (საადვოკატო) საქმიანობის არც ერთი მიზანი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:
საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

ადვოკატმა ე. ბ.-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარისადმი მიმართულ განცხადებაში სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ აღნიშნა: „ჯ. კ. პროფესიონალი თაღლითია. ჯ. კ.-მ გამოძებნა სხვა გზები და მეზობლებს თანამესაკუთრედ მოევლინა თაღლითური გზით.“

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარისადმი მიმართული, 2014 წლის 02 ივნისის განცხადება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ. ს.ფ. 4-5

4.2 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ საქმეში სადავო ფაქტობრივი გარემოებები არ არსებობს.

5 შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ე. ბ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ე. ბ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

6.1.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის

სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

6.2 განხილვის კოლეგია აღნიშნავს, რომ იზიარებს საპროცესო კოლეგიის 2014 წლის 05 აგვისტოს გადაწყვეტილებაში მითითებულ ადვოკატის ქმედების სამართლებრივ შეფასებას.

6.3 ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის იმ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება, განსხვავებით სხვა პირებისაგან.

6.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №075/10 დაადგინა: „ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედებები, რომელიც უკავშირდება მის პროფესიულ საქმიანობას, უნდა შეესაბამებოდეს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის სტანდარტებს.“

6.5 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

6.6 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარისადმი მიმართულ, 2014 წლის 02 ივნისის განცხადებაში სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რომლის განმცხადებელი, რწმუნებულების საფუძველზე, არის ადვოკატი ე. ბ., საჩივრის ავტორი მოხსენიებულია შემდეგი სიტყვებით: „ჯ. კ. პროფესიონალი თაღლითია. ჯ. კ.-მ გამოძებნა სხვა გზები და მეზობლებს თანამესაკუთრედ მოევლინა თაღლითური გზით.“ განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ აღნიშნული სიტყვებით მიმართვა ჯ. კ.-ის, როგორც პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, ადვოკატის მხრიდან უპატივცემულობის გამოხატვასა და ადვოკატის მიერ პროცესის მონაწილე პირის უფლებების შელახვას წარმოადგენს. წერილობითი განცხადების წარდგენის დროს ადვოკატს შეეძლო საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინა ისე, რომ არ გამოეყენებინა ისეთი სიტყვები, როგორიც არის ”პროფესიონალი თაღლითია.”, “თაღლითური გზით”, რადგან აღნიშნული სიტყვები არ ექცევა პირის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, შეურაცხმყოფელია და ამასთან აღნიშნული სიტყვები მაღალი ალბათობით არ წარმოადგენს პროფესიულ და საქმიან დამოკიდებულებას საკითხისადმი. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი გამორიცხავს პირად ინტერესს და გააჩნია სიტყვის, აზრის გამოხატვის თავისუფლება, წერილობით მიმართვაში დაფიქსირებული სიტყვებს პიროვნების თაღლითად მოხსენიების თვალსაზრისით, შესაძლებელია არ გააჩნდეს საქმიანი დანიშნულება, არ გააჩნდეს პროფესიული (საადვოკატო) საქმიანობის არც ერთი მიზანი (კლიენტის ინტერესების გატარება ან დაცვა, სამართლებრივი

შედეგის შეცვლა ან სხვა), რის გამოც ივარაუდება, რომ სცდება საადვოკატო საქმიანობისას პროფესიული ქცევის ფარგლებს.

6.7 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს მისი პროფესიული თავისუფლება იმავდროულად ბოჭავს კლიენტებთან თუ მესამე პირებთან ურთიერთობაში. ეთიკური ვალდებულებები ადვოკატს, სხვა პირთა მსგავსად მინიჭებული გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით, როგორც პროფესიის წარმომადგენელს, ავალდებულებს ღირსეულად წარმოაჩინოს პროფესიის სახე ყველა ვითარებაში, მათ შორის, როდესაც მისი კლიენტის წინააღმდეგ იხილება საქმე სასამართლოში თუ სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მქონე ორგანოში. ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი მაღალი ზნეობრივი სტანდარტის დაცვა პროფესიის კორპორაციულ მიზანს ემსახურება და ეთიკური ვალდებულებების მიზანი არ არის მხოლოდ კონკრეტული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის მოწესრიგება, არამედ ისწრაფვის ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადობერივი ნდობის განმტკიცებისაკენ. განხილვის კოლეგიას მიზანშეუწონლად მიაჩნია ადვოკატის მიერ პირის მოხსენიება შეურაცხმყოფელი ეპითეტებით. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, რა შეხედულება ჰქონდა ე. ბ.-ს კლიენტს საჩივრის ჯ. კ.-მი, ვინაიდან ყველა შემთხვევაში, ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას წარმოადგენს პროფესიული ღირსების შენარჩუნება და მოსაზრებების არაკორექტულად წარმოდგენისაგან თავის შეკავება.

6.8 განხილვის კოლეგია მიუთითებს, რომ მიმდინარე საქმისწარმოებისას პროცესის მონაწილე მხარის შეურაცხყოფა და შეუფერებელი ქცევა შეიძლება ასევე შეფასდეს, როგორც სასამართლოს შეურაცხყოფა.

6.9 განხილვის კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსს, ხასიათს და მიზანშეწონილად მიაჩნია რეაგირების სახით გამოიყენოს პროპორციული და ადეკვატური ზომა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით, რომელიც არ არის სახდელი, მიზნად ისახავს ადვოკატისათვის რეკომენდაციის გაცემას, იმავდროულად კი ადვოკატთა კორპორაციის პროფესიული ინტერესის დაცვას, რათა არიდებული იქნეს ადვოკატთა მიერ არაეთიკური გამონათქვამების გამოყენება სხვა შემთხვევებშიც.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ე. ბ.-ს მიმართ /სიითი №----/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. კერძო სარეკომენდაციო ბარათი ეგზავნება ადვოკატს, ხოლო ასლი ინახება საქმეში დალუქულ კონვერტში.

3. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე, საქართველოს უზენაეს სასამართლოში, (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32) არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/